

ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩა N38 საცხოვრებელი სახლის N148, N149 ოთახებზე და N150 საერთო სარგებლობის ოთახზე, მოქალაქე ნადია კილასონიასათვის საკუთრების უფლების მინიჭებისა და მოწმობის გაცემის შესახებ

ქალაქ ქუთაისის მერიაში განხილული იქნა ფოთის ქუჩა N38 საცხოვრებელი სახლის N148, N149, N150 ოთახებში მცხოვრები მოქალაქე ნადია კილასონიას წარმომადგენლის ნელი კილასონიას განცხადება /2013 წლის 22.02 Nკ-2343/, რითაც ითხოვს საცხოვრებელ ოთახებზე /მდებარე ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩა N38 საცხოვრებელი სახლის N148, N149 ოთახებზე და N150 საერთო სარგებლობის ოთახზე/, საკუთრების უფლების მოწმობის მოქალაქე ნადია კილასონიას სახელზე გაცემას.

წარმოდგენილი მასალების, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“, საქართველოს ორგანული კანონის 39–ე მუხლის მე-3 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის, 65<sup>2</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და „კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი /იზოლირებული და არაიზოლირებული/ ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ“, საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის N73 ბრძანებულების თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩა N38 საცხოვრებელი სახლის N148, N149 და N150 საერთო სარგებლობის ოთახზე, საკუთრების უფლება მიენიჭოს მოქალაქე ნადია კილასონიას.

2. ქალაქ ქუთაისის მერიის საბინაო ინფრასტრუქტურის მართვისა და განვითარების სამსახურმა /კ.ხვარეშია/, ქალაქ ქუთაისში, ფოთის ქუჩა N38 საცხოვრებელი სახლის N148, N149 და N150 საერთო სარგებლობის ოთახზე /საერთო ფართობი 35,40 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 35,70 კვ.მ და N150 ოთახის საერთო სარგებლობის ფართობი 15,00 კვ.მ, საერთო სარგებლობის სანკვანძი 16,94 კვ.მ./ მოქალაქე ნადია კილასონიას სახელზე გასცეს საკუთრების უფლების მოწმობა.

3. ბრძანების შესრულების კონტროლი განახორციელოს ქ.ქუთაისის მერის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელმა კ.რატაიანმა.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, ქ.ქუთაისის საკრებულოსა /რუსთაველის გამზირი N3/ და ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვიქტორ კუპრაძის ქუჩა N11/, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

5. ბრძანება ძალაში შედის კანონით დადგენილი წესით.

ქ.ქუთაისის მერის მოადგილე,  
მერის მოვალეობის შემსრულებელი

ნ.კაჭკაჭიშვილი